15-ს აგვისტოს. № 16. 1885 წლისა.

# მწყემსი

ორ-კვირეული გამოცემა. ოფიციალური ნაწილი.

## უწმიდესი და უმართებულესი სინოდის ობერ-პროკურორის მიწერილობა საქართველოს ექსარხოსის მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოსის პავლესადმი — 28 ივნისიდამ ამა წლისა № 8273.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,
მოწყალეო ხელმწიფევ და მწყემსთ-მთავარო!

შემთხვევისა გამო სახელმწიფო მოთხოვნილებათა გამრავლებისა და ამისაგან წარმომდგარი საჭიროებისა სახელმწიფო შემოსავალთა გადიდებისათვის, საჭიროთა ამა სახელმწიფო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ფინანსის მინისტრისაგან სახელმწიფო რჩევაში წარდგენილი აზრისა მებრ გამოხდა უმაღლესი ბრძანება დადგენისათვის ახალი წყაროისა სახელმწიფო ხაზინის შემოსავლისა, სახელდობრ თავნი ფულების შემოსავლისაგან გარდახდაზე ხაზინის სასარგებლოდ. თავი აზრი ამ ახალი განონდებულებისა, უმაღლესად დამტკიცებულის წარსულ მაისის ოცსა, სახელმწიფო რჩევის აზრისა მებრ, დადგენილის ამა გარდასახადის შეკრებაზე, შეიცვებიან უმთავრესად წოდებულის განონ-დებულების შემდეგ პუნკთა შინა:

სახელმწიფო რჩევის აზრის II პუნკთი: მოხდენილობისა გამო უმაღლესად დამტკიცებულის დებულობისა, თავნი ფულების შემოსავალთაგან გარდასახადის შეკრება უნდა იქმნეს მოყვანილი მოქმედებაში პირველი ივლისიდამ ამა 1885 წლისა იმ გვარად, რომ დადგენილი გარდასახადი არ გავრცელდეს იმ სარგებლიანი ქაღალდების კუპონებზე, რომელთა გარდახდის ვადა მოხდება აღნიშნული რიცხვის ადრე, აგრეთვე იმ თანხების სარგებლებზე, რომელნიც პირველ მოთხოვნამდე არიან შემოტანილნი, ანუ სხვა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა შინა შეტანილ სათავნო ფულების სარგებლებზე, რომელნიც ანგარიშით ერგებათ შემტანელთ წინა დროისათვის 1 იანვრამდის 1885 წლისა.

პუნკტი III. დროებით ეს გარდასახადი არ დაედებათ რკინის გზების აკციებიდამ შემოტანილ შემოსავალზე და ცენტრალურ საადგილ მამულო ბანკების გირავნობის ფურცლებზე, მაგრამ ამასთანავე ფინანსთა მინისტრს მიენდობა შემოიტანოს სახელმწიფო რჩევაში განსახილველად მოსაზრებანი გარდასახადის წესების დადებაზე ამა ხსენებულ შემოსავალზედაც.

პუნკტი V. მიენდოს მინისტრთა და სხვა და სხვა ნაწილთა მთავარ მმართველთა, რომელთა უწყებაში არიან სათავნო ფულები, რომელთაც აქვსთ თავისი განსაკუთრებული დანიშნულება, — აგრეთვე რომელნიც არიან დანიშნულნი დასაკმაყოფილებლად სამეცნიერო, სასწავლო და საქველ-მოქმედო დაწესებულებათა, თანასწორ საეკკლესიო და სასულიერო უწყების დაწესებულებათა, შემოიტანონ განსახილველად, დადგენილი წესით, მოფიქრებანი სახელმწიფო ხაზინიდამ ნიადაგი შემწეობის რაოდენობაზე, შესავსებლად ხსენებულ უწყებათა იმა დანაკლის საშუალებათა, რომელნიც ამ უწყებათ მოაკლდებათ გარდასახადის დადებისა გამო თავნი ფულების შემოსავალზე და რომლის შევსება მიუცილებლად საჭირო იქნება.

ამ გარდასახადის დებულებასა შინა სხვათა შორის გამოხატულია.

მუხლი 1. გარდასახადი თავნი ფულების შემოსავალთაგან არის ხუთი პროცენტი (სარგებელი: ა) სახელმწიფო საზოგადოების და კერძო ყოველ წოდების სარგებლიან ქაღალდების შემოსავალთაგან და ბ) შემოსავალთაგან, რომელნიც შემოდიან შეტანილი თავნი ფულებისაგან მიმდინარის ანგარიშით და სხვა სასარგებლოდ შეტანილი თავნიდამ სახელმწიფო, საზოგადოების აკციონერთა და ერთი-ერთ შორის საზოგადოების ბანკებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 2. გადასახადში არ შედიან:

ა) სარგებლები იმ ქაღალდებზე, რომელნიც გამორიცხულნი არიან მათი გამოცემის პირობებით ხარჯის გადახდისაგან;

ბ) სარგებლები სახელმწიფო ბანკში შეტანილი ფულებისა, რომელნიც დარჩენ ყოფილის კომერციული ბანკისაგან, აგრეთვე იმ სათავნო ფულებზე, რომელნიც შეტანილ არიან დამზოგველ კასებში, გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაში და სოფლის ბანკებში;

გ) შემოსავალი აკციებიდგან და პაიაებიდამ ამღებმიმცემი და სავაჭრო საზოგადოებათა, რომელნიც განსაკუთრებით პირობათა ზედა გადასახად დადებულნი არიან;

და მუხ. 3) შემოსავალი სახელმწიფო % სარგებლიანი ქაღალდებისაგან იკრიბება ან გადასახადის ჯამის დაჭერით სარგებლების გადახდის და მოგებების დროს, ანუ შესაფერი პატიობით, კუპონების სახელმწიფო გადასახადში მიღების დროს.

ამ გვარად ძალისა გამო ზემოთ მოყვანილი უმაღლესი ბრძანებისა, 1 ივლისიდამ 1885 წელსა სახელმწიფო ბანკისაგან მისი კანტორების და განყოფილებების, საგუბერნიო და სამაზრო ხაზინებისაგან, აგრეთვე გარეშე ბანკების, კანტორების და ყოველივე სხვა დაწესებულებათაგან, რომელნიც აძლევენ % ქაღალდებზე 1 ივლისიდამ ამა წლისა და შემდეგ ვადებზე სარგებლებს სახელმწიფო კუპონებზე და აგრეთვე გარეშე საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან ქაღალდებზე, რომელნიც ექვემდებარებიან ზემოთ მოყვანილ გადასახადს დაკავებულ იქნება ხაზინის სა'სარგებლოდ ხეთ-ხეთი პროცენტი ნაღდად იმ სარგებლისაგან, რომელიც მოუწევს სათავნო ფულებს. მაგრამ რადგან ყველა უწყების სხვა და სხვა დაწესებულებათა შინა ინახებიან სათავნო ფულები, რომელთა განსაკუთრებითი სპეციალური დანიშნულება აქვსთ, ანუ იხმარებიან სამეცნიერო, სასწავლო და ქველმოქმედებითი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რადგან ამ თანხებისაგან შემოსული სარგებლის ნაწილის დახარჯვით შეიძლებოდა დაბრკოლება მოსვლოდა შემდეგი დროისთვის იმ საჭიროებათა და კმაყოფილებას, რომელთა გულისათვის ეს სათავნო ფულებია გადადებული, ამიტომ ზემოდ მოყვანილი უმაღლესი ბრძანებით უნდა შევსებულ იქმნეს განსაკუთრებითი ბეომწეობით სახელმწიფო ხაზინისაგან იმ დაწესებულებათა დანაკლისი, რომელიც მოუვათ მათ 5% გამორიცხვით შემოსავლიდამ, რომელსაც იღებდნ{ე}ნ ისინი ზემო აღნიშნული სარგებლიან ქაღალდებზე; ამის გამო მინიჭებული აქვსთ მინისტრებს და ცალკე ნაწილთა მთავარ-მართებელთ შემოიტანონ სახელმწიფო რჩევაში თავიანთი მოსაზრებანი იმა სარგებლიან ქაღალდების შესახებ. ამას თანავე სახელმწიფო რჩევაში ამ უკანასკნელი საქმის შესახებ მოხდენილი მსჯელობის დროს დადგენილ იყო, რომ სახელმწიფო ხაზინიდამ შევსება იმა დანაკლისისა, რომელიც დაჭერილ უნდა იქნეს 1 ივლისიდამ 1885 წ. 5% სათავნო ფულების შემოსავალთაგან, რომელთა აქვსთ განსაკუთრებითი, სპეციალური დანიშნულება, ანუ რომელნიც იხმარებიან სამეცნიერო, სასწავლლო და საქველ მოქმედო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, უნდა გავრცელებულ იქნეს მხოლოდ იმ სათავნო ფულებზე, რომლებიც ჰქონდა რომელიმე დაწესებულებას, სახელდობრ 1 ივლისიდამ 1885 წელსა. იმ სათავნო ფულების დანაკლისის შევსება, რომელნიც, სათავნო ფულები, შეძენილ იქნებიან შემდეგ 1 ივლისისა 1885 წ. დაწესებულებათაგან რომელიმე საშუალებით (სარგებლიანი ქაღალდების ყიდვით იქნება ეს თუ შეწირულებით, გინდ ანდერძით და სხვა ამის მზგავსი საშუალებით) და რა მიზნისათვისაც უნდა იყოს შეწირულება, (დაწესებულებათა, ანუ სხვა რომელიმე საქველ-მოქმედო სამეცნიერო ანუ სამასწავლებლო მიზნისათვის), რომელსაც იზარალებენ დაწესებულებანი 5% დაკავებით შემოსავლიდამ, რომელსაც იძლეოდა სათავნო ფული, ამ ვადის შემდეგ შეძენილი, არ არის მიღებული სახეში, რადგან ყოველ % სარგებლიანი ქაღალდების შეძენის დროს შემდეგ 1 ივლისისა 1885 წ. ყოველი დაწესებულება იხელმძღვანელებს კანონით, რომელიც შეეხება სარგებლიანი ქაღალდებისაგან 5% აღებას სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

ზემო ხსენებთლისა გამო და მივიღეთ რა სახეში, რომ მრავალ გვარ სასულიერო უწყების დაწესებულებათ, როგორც მაგალითებ: კანტორებს, საეპარქიო სამზრუნველოებს, არქიელების სახლებს, ლავრებს და ბერთა და მონოზონთა მონასტრებს და საზოგადოებათ, სობოროებს,

სამრევლო ეკლესიებს და მასთან არსებულ საეკლესიო სამზრუნველოთ, საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს, თავშესაფარ და სამოწყალო სახლებს და სხვათა ქველ-სამოქმედო დაწესებულებათ, ემერიტალურ, ურთი-ერთ შორის შემწეობის და გამსესხებელ შემნახველი საზოგადოების კასებს და სხვა, ეპარქიალურ საზოგადოებათ, ეპარქიების წმინდა სანთლის ქარხანებს, სასულიერო სასწავლებელთ: აკადემიებს, სემინარიებს, ვაჟების და ქალების ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელთ, საეკკლესიო ძმობათ, მქადაგებელთა საზოგადოებას და სხვა ყველა დაწესებულებათ, რომელნიც ეპარქიის უფროსების გამგეობაში იმყოფებიან, აქვსთ სათავნო ფულები, რომელნიც დაცვლილ არიან სარგებლიან ქაღალდებში, ანუ აქვთ ბანკებში შეტანილი პირველ მოთხოვნამდე სასარგებლოდ და რომ თანახმად მე-V მუხლისა ზემო მოყვანილი უმაღლესად დამტკიცებულის 20 მაისს ამა წ. სახელმწიფო რჩევის აზრისა, ამ საზოგადოებათ დანაკლისის შესავსებად, რომელიც მათ მიეცათ მათი სათავნო ფულების შემოსავლიდამ 5% დაკავებით შეიძლება გამოთხოვნილ იქნეს ამ დანაკლისის თანასწორი შემწეობა ხაზინისაგან, მაგრამ უწ. სინოდის ცენტრალურ სამმართველოში არ არის ცნობები იმ სათავნო ფულებზე, რომელნიც ეკუთვნიან ეპარქიების დაწესებულებათ, ამიტომ პატივი მაქვს უმორჩილესად ვსთხოვო თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ჰქნათ განკარგულება, რომ: ა) ყველა სასულიერო სასწავლებლებმა, რომელნიც არიან თქვენდამო რწმუნებულ ეპარქიაში, აკადემიებმა, სემინარიებმა მათდამი რწმუნებული სასულიერო სავაჟო ოთხ-კლასიანი სასწავლებლებით და ქალების სასულიერო სასწავლებლებმა, რომელნიც იმყოფებიან ხელმწიფა იმპერატრიცას მფარველობის ქვეშ, პირ და პირ წარმოადგინონ უწმიდესი სინოდის სამეურნეო განყოფილებაში, ამასთანავე ჩადებული ფორმისა მებრ, შედგენილი ცნობები % ქაღალდებზე, რომელნიც არიან მათ გამგეობაში 1 ივლისიდამ ამა წლისა; ბ) რომ სხვა ყველა ზევით მოხსენებულ სასულიერო უწყების დაწესებულებათ, რომელნიც თქვენდამო რწმუნებულ ეპარქიაში არიან, მისცენ ადგილობით კონსისტორიათ ვრცელი და ნამდვილი ცნობები მათდამი კუთვნილ სათავნო ფულებზე, რომელნიც მათ აქვსთ 1 ივლისიდამ ამა წლისა, ხოლო კანსისტორიამ, შემდეგ ამ ცნობებიდამ ეპარქიის საზოგადო უწყების შედგენისა, თანახმად ნაჩვენები ფორმისა მებრ, უნდა გაგზავნოს რაც შეიძლება ცოტა ხნის განმავლობაში უწმიდესი სინოდის სამეურნეო გამგეობაში და გ) რომ უფრო ადვილად შესატყობელი იქნეს ეს განკარგულება სასულიერო უწყებათა და პირთათვის, ამიტომ ესეთი განკარგულება გარდა ოფიციალური მიწერილობისა იმა დაწესებულებათა და პირთადმი ბლაღოჩინების საშუალებით (რაც შეიძლება ნაბეჭდი ცირკულიარების და უწყების გავრცელებით). გამოცხადებულ იქნეს ადგილობით ეპარქიალურ უწყებებში, თუმც ესეთი გამოცემანი არსებობენ თქვენდამო რწმუნებულ ეპარქიაში.

ვალად ვსთვლი დაუმატო ამასვე, რომ: ა) ამ შემთხვევაში ითხოვება ცნობები ყველა სარგებლიან ქაღალდებზე, რომელნიც კი აქვს თვითეულ დაწესებულებას, უფრო ნამდვილ განსაზღვრისათვის, თუ რომელ მათგანს დაედება გადასახადი და რომელი მათგანი განთავისუფლებული უნდა იყოს გადასახადის დადებისაგან, და ბ) იმ სარგებლიან ქაღალდებზე, რომლებზედაც ამ შემთხვევაში რომელიმე დაწესებულებისაგან არ იქნება ცნობილი ცენტრალური უწყების გამგეობა, და რომლებზედაც მაშასადამე უკანასკნელს არ შეეძლება წარუდგინოს სახელმწიფო რჩევას ზემოდ მოყვანილი სახელმწიფო რჩევის აზრის მე-V მუხლში მოხსენებული საჭირო ცნობები და მოსაზრებანი ზემოდ აღნიშნული 5% გადასახადზე სათავნო ფულებიდამ შემოტანილ შემოსავლისაგან წაღებულ იქნება 5% ხაზინის სასარგებლოდ 1 ივლისიდამ ამა წლისა, მაგრამ არაფერი სამაგიერო არ მიეცემათ ამა დაწესებულებათ ამ დანაკლისის სამაგიეროდ.

ვაბარებ რა ჩემს თავს თქვენ ლოცვა კურთხევას, პატივი მაქვს დავშთე თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის, მოწყალე ხელმწიფის და მწყემსთ მთავარის სრული პატივისმცემელი მონა კ. პობედონოსცევი.

სწორია: საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის მდივნის მაგიერ ი. კიკნაველიძე.

შეადარა სტოლის უფროსის მოადგილემ მესხიევმა.

უქაზისათანა № 8273.

# ფორმა უწყებისა

შესახებ სათავნო ფულებისა, რომელნიც ეკუთვნიან სასულიერო უწყების დაწესებულებათა N ეპარქიაში, 1 ივლისიდამ 1885 წლისა.

| რიგით №№ | სახელ-წოდება დაწესებულებათა, რომელთაც ეკუთვნისთ სათავნო ფულები. | სახელ-წოდება % ქაღალდებისა, რომლებშიაც იმყოფება სათავნო ფულები, ანუ —ბანკების დაწესებულებათა, სადაც შეტანილნი არიან სათავნო ფულები. | ჯამი სათავნო ფულებისა. | | ჯამი თითოეული წლის შემოსავლისა | | რაოდენობა [illegible] გადასახადისა. | | რაზე იხმარება სათავნო ფულებიდამ შემოსავალი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | | | |
| 1 | კათედრის N სობორო. | 5% ბილეთი სახელმწიფო ბანკისა 1861 წ. №....... | 5,000 | — | 250 | — | 12 | 50 | კრებულის შესანახავად. |
| | | პირველ მთთხოვნამდე N სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა წლიური 3%...... | 1,500 | — | 45 | — | 2 | 25 | ეკკლესიის საჭიროებაზე. |
| 2 | ღვთისმშობლის N მონასტერი N მაზრაში. | 5% აღმოსავლეთის სესხის თამასუქისა: | | | | | | | |
| | | პ რველი გამოცემისა №... | 10,000 | — | 500 | — | 25 | — | მონასტრის შესანახავად. |
| | | მესამე გამოცემისა №№... | 1,000 | — | 50 | — | 2 | 50 | საავათ-მყოფო თავ-შესაფარის შესანახავად. |
| | | 5% მოსკოვის სამოქალაქო კრედიტული საზოგადოების თამასუქისა №№......... | 3,000 | — | 150 | — | 7 | 50 | მონასტრებთან არსებული სკოლის შესანახავად. |
| 3 | სასულიერო სემინარია. | მესამე აღმოსავლეთის სესხის თამასუქისა №№......... | 10,000 | — | 500 | — | 25 | — | |
| | | N სამოქალაქო საზოგადოების ბანკში სამუდამოდ წლიური 6%.............. | 3,000 | — | 180 | — | 9 | — | სტიპენდიატების შესანახავად, ანუ ღარიბი შეგირდების შესაწევრად ანუ წიგნთ საცავისა. |
| 4 | მიხაილ მთავარ-ანგელოზის ეკკლესია N სოფელი, N მაზრაში. | 4% სამუდამო შემოსავლიანი ბილეთი სახელმწიფო კომისიისა ვალების დასახურავად №............... | 5,750 | — | 230 | 2 | 11 | 50 | კრებულის ანუ ეკკლესიის შესანახავად. |
| | და სხვ. | და სხვ. | | | | | | | და სხვ. |

მდივანი ი. სიმონოვი.

15-ს აგვისტოს. წელიწადი მესამე. 1885 წლისა.

# მწყემსი

№ 16.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი" რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцiю „Мцкемси" (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## მღვდლის პატივის დაცვის შესახებ.

Ყველა თანამდებობაზე მღვდლის თანამდებობა უმაღლესია. თუმცა მღვდლის მოვალეობა მრავალმნიშვნელობიანი და უპატიოსნესია სხვა თანამდებობაებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდელოებას მაინც მრავალი მტრები ყავს, ვინემ სხვა თანამდებობის პირთა, რომელნიც (მტრები) ყველა ნაირ ღონის ძიებას ხმარობენ, რომ მღვდლის სამსახური გააშაონ და ხალხში მათ გავლენა დაუკარგონ... ამისთანა მტრებმა, სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს მაინც შესამჩნევად დაიწყეს მოქმედება. არ ყოფილა არც ერთ დროს იმდენი საჩივრები სამღვდელოებაზე, რამდენსაც ეხლა ვხედავთ ზოგიერთ ეპარქიებში და სასულიერო სამჯავროებში. არიან ზოგიერთი საბლაღოჩინოები, რომლებშიაც არც ერთი მღვდელი არ არის დარჩენილი, რომ მათთვის არავის ეჩივლოს...

ეხლანდელი დროის ჩვენი ლიბერალები ამტკიცებენ, რომ ეს საჩივრები და სამდურავი ჩვენ სამღვდელოებაზე აიხსნება, ვითომც, სამღვდელოების ცუდი ქცევით და მათი ზნეობის დამდაბლებით. რა მიზეზია, მართლა, ამ სამწუხარო მოვლინებისა? ნუ თუ ეს სამწუხარო მოვლენა შედეგია სამღვდელოების უზნეობისა და მათი ცუდი ქცევისა? ნუ თუ მართლა სამღვდელოებაა თვითონ მიზეზი, რომ ის (სამღვდელოება) ასე არ უყვარსთ ზოგიერთთა და მის გასაშავებლად არასფერ ღონისძიებას არ იშურებენ?

მაცხოვარი ჩვენი, უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: უკეთუმცა სოფლისაგანნი იყვნეთ, სოფელიმცა თჳსთა ჰყვარობდა: რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან, ამისთვის გძულთ თქვენ სოფელსა. (იოან. 15—19—20.)

ეს სიტყვები ზოგიერთებს სრულებით არ ახსოვსთ. ბევრ მაგალითებს ვხედავთ, სამწუხაროდ, ჩვენ, რომ ის მოძღვარი, რომელიც თავის სამწყსოს ეფერება და ყველაფერში მის ნებას მიყვება, უფრო უყვარსთ და ის კი, რომელიც მტკიცედ ასრულებს თავის მოვალეობას და ყოველთვის მზათ არის ამხილოს თავის მოწაფეს მისი ცუდი მიდრეკილებანი და გულისთქმანი, უფრო შეძულებული ჰყავსთ...

ამისათვის მღვდლის პატივი და კეთილი სახელი უმეტესად უნდა იყოს დაცული და დაფარული კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენ სრულებით ამის წინაამღდეგს ვხედავთ. ყველა თანამდებობის პირი უმეტესად დაცული და დაფარულია სხვა-და-სხვა ბოროტ პირთა ცუდ განზრახულებათაგან, ვინემ მღვდელი. მღვდელს ხშირად საუკუნოდ სვრის იმისთანა მოქმედება, რომელიც ერისკაცს არასოდეს დანაშაულებათაც არ ჩაერიცხება...

ნახეს მღვდელი, ვსთქვათ, ცოტა დალეული. ეს საკმაოა ზოგიერთათვის, რომ ამიდგან გამოიყვანონ დასკვნა მღვდლის ლოთობაზე და საჩივრებიც გაგზავნონ. რამდენს ვხედავთ მომრიგებელ მოსამართლეებს და და სხვა თანამდებობის პირთა გალოთებულთ, რომელთაც თავისი გონება, აზრი და მსჯელობა ღვინისა და სპირტის სასმელებში ჩაუხრჩვიათ, მაგრამ ისინი ერის კაცებია და რა დიდი საქმეა დათვრენ!? მღვდელს სთხოვეს, ვსთქვათ, გვირგვინის კურთხევა, ან სხვა რამე მღვდელ-მოქმედების შესრულება. მღვდელს არ ცალოდა და მეორე დღე დაუნიშნა. ეს სრულიად საკმაოა მღვდელზე უშველებელი საჩივრის დაწყებისათვის. რამდენს ვხედავთ ჩვენში მომრიგებელ მოსამართლეებს და სხვა თანამდებობის პირთა, რომელნიც საჩივრების გარჩევას ოთხჯერ და ხუთჯერ გადუდებენ მთხოვნელებს შემდეგ დროისთვის და გარჩევას არ ალირსებენ ერთ წელს, მაგრამ ამაზედ ვერავინ ვერ იჩივლებს და, რომ იჩივლოს კიდევაც, არა გამოვარა...

შეიტანეს, ვსთქვათ, უსახელო დანოსი საერო წოდების თანამდებობის პირზე. ქანონით ამ დანოსს არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, მართლიც რომ იყოს და არც გამოძიების დანიშვნა შეიძლება ამის შესახებ. ამისთანა დანოსებზე ზოგიერთი პირები ხშირად გამოძიებას ნიშნავენ. სახოლციელო უწყების თანამდებობის პირზე შეტანილი «დანოსები» თუ გამტყუნდენ, მედანოსეთა სასტიკად სჯიან. მაგრამ სამღვდელოებაზე ჯლაბნე რაც გინდა! თავიდამ ბოლომდის ერთი სიტყვა რომ არ გამართლდეს, მედანოსეს არა უშავს-რა, კანონით მას სასჯელი არ მოელის...

ყველას გვეგონა, რომ ახალი კანსისტორიათა წესდებულების შედგენის დროს ამაზედ მიაქცევდენ ყურადღებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ახალ წესდებაში არაფერი მოხსენება არ არის სანუგეშო ამის შესახებ. დღეს დრო შეიცვალა. უზნეობა ძლიერ ძლიერდება. საჭიროა ყურადღება მიაქციონ სამღვდელოებას იმათ, ვისიც რიგია და დაიფარონ ის ზოგიერთ ბილწ და ბოროტ მიამრთულების პირთაგან და ამით აღმოუჩინონ შემწეობა სამღვდელოებას მის დიდი მოვალეობის აღსრულებაში.

მართალია, სამღვდელოებამ უნდა მოითმინოს ყველაფერი. მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ იგიც ხორციელი სუსტი არსება არის. თუ მათგან მოითხოვენ მრავალს და მათი მოვალეობის მტკიცეთ აღსრულებას, მაშინ რიგი და კანონია, ხელი მოუწყონ მათ და მოაშორონ ბოროტი პირები, რომელნიც ტყუვილა უბრალოდ პიროვნულის ანგარიშისა გამო და მისთვის, რომ მღვდელმა მათი მხილება გაბედეს, სამარეს უთხრიან და ქვესკნელში უნდათ ჩააძვრინონ. წინაალმდეგ შემთხვევაში მღვდელი ვერ შესძლებს წმიდათ დაიცვას თავის თანამდებობა და სასარგებლოდ ემსახუროს ეკლესიას და მამულს...

## წერილი რედაქტორთან. *)

ბატ. რედაქტორო!

ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდენ სოფელში მოსიარულე პირნი, რომელნიც ფულებს ჰკრებენ ეკლესიების ასაშენებლად, მონასტრების დასაარსებლად და შესაკეთებლად. ბევრი გვინახავს ამისთანა ფულების შემკრებლები სხვა-და-სხვა კეთილი მიზნით და კეთილი საქმისათვის, მაგრამ ეხლანდელი მოსიარულე პირების ქცევა სწორეთ საყურადღებოა. ერთი მათგანი ხშირად შეწირულ გროშებს შემწირველს უწუნებს და ეუბნება: ასე ცოტა ფულის შეწირვა არ შეიძლება, სირცხვილიაო და სხვა ამისთანა საწყენი სიტყვები მრავალი წარმოითქმება ხოლმე მისგან. მეორესთან დააქვს ღვთის მშობლის ხატი და შემწირველს, თუ მას არაფერი

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის თხოვნით. ამას წინეთაც მივაქციეთ ჩვენ საზოგადოების ყურადღება ამისთანა მოსიარულე პირთა მოქმედებაზე. მართლა, ნამეტნავად გახშირდნენ ამისთანა მოსიარულე პირები და სასურველია მათ მოქმედებას ნამეტანი ყურადღება მიექცეს. რას უძახიან ა ნ ჩ ი ნ უ რ წერა-კითხვას, ამას შემდეგ №-ში აუხსნით მკითხველებს.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეძიება შინ და ბოდიშს ითხოვს მოსიარულე პირთან, მაშინ ის ეუბნება მასს: ღვთის მშობელი არ მიდის, თუ არასფერი შესწირეთ და რა ვქნა. აი თავზე კარგი ბაღდადი გაქვს და ის შესწირე. გაგიგონიათ ეს? ასე ძალათ ფულის შეწირვა განა შეიძლება? შეწირული ფულის დაწუნება იქნება? როდესაც ოჯახის უმფროსი სწირავს რამეს, მერე მის ცოლს და შვილებს ეუბნებიან: თქვენც უნდა შემოწიროთო?...

ამასთან ისიც უნდა გაცნობოთ, რომ ეს მოსია რული პირები ცუდათ იქცევიან სოფლებში და ცუდ შთაბეჭდილებას ჰბადავენ ხალხში ბერების და მღვდლების შესახებ.

ერთი ამისთანა პირი სოფელში ჰქადაგებს, რომ ანჩინურ წერა-კითხვას ასწავლის მსურველს. გიგზავნით ამასთანავე საკუთრად ამ პირისაგან დაწერილს ანჩინურ ბარათს და იმედია, რომ გამოიცნობთ, თუ რა სწერია შიგ. ჩვენ ვერ გამოვიცანით. ვინ იცის, იქნება ეს პირები მატყუარებიც იყვნენ და ამდენ ფულებს კრებდნენ სოფელში.

## ლ ე ჩ ხ უ მ ი დ ა მ.

Чველაზედ უფრო საჭირო, და მაშასადამე საზრუნავი ადამიანისათვის არის დაცვა და შენახვა თვისის ჯანმრთელობისა, რომელიც არის ერთი უმთავრესი საფუძველი როგორც ხანგრძლივი სიცოცხლისა, ისე ყოველ გვარად კეთილი წარმატებითი ცხოვრებისა. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ კაცისაგან თვისი ჯანის სისაღის დაცვა და შენახვა ადვილი საქმე როდია. იმას აქვს თავის საკუთარი კანონები, თავის საკუთარი მოთხოვნილებანი და, თუ ესენი არ ესმის ადამიანს და არ ასრულებს, იმ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია დაცვა ჯანმრთელობისა და მოპოება ხანგრძლივი სიცოცხლისა ამ ქვეყნიურს სამოთხეში. თითოეულს პირს ერისას იმოდენა მაინც რომ ესმოდეს ჰიგიენური კანონები და მისი მოთხოვნილებანი, რომ ძალათ არ მოიშალოს თავისი აგებულების სისაღე რომელიმე ჯანმრთელობისათვის საჭირო მოთხოვნილებათა ყურადღების მიუქცევლობით, მაშინ ხომ უდროოდ სიკვდილი ამ ქვეყანაზედ, რომელიც მუსრს ავლებს კაცობრიობას, ერთი ათად შემცირდებოდა. მაგრამ რადგანაც ამისთანა სანატრელი დრო ჯერ-ჯერობით ერთობ შორს არის ჩვენზედ, რადგანაც ამ ნაირად განვითარება მთელის ერისა მედიცინურს მეცნიერებასა და მის რთულს კანონებში ადვილი საქმე არ არის, ამისათვის მიუცილებელ საჭიროდ არის აღიარებული, რომ ხალხს ახლოს ჰყავდეს თითო-ოროლა პირი ზემოხსენებულ სამკურნალო მეცნიერებაში განვითარებული, რომ ჯან-საღს ადამიანს აძლიოს დარიგება თვისი სიმრთელის დაცვისა და შენახვის შესახებ და სნეულს, აგებულება მოშლილს, დაეხმაროს თვისი ჯანის სისაღის და აგებულების ნორმალური მდგომარეობის აღგენისა და დაბრუნების საქმეში. დიახ, სწავლული ექიმების უმეტესი რიცხვი იმ ერში უნდა იყვნენ დაბინადრებული, რომელი ერიც თავის ჯანმრთელობის წესიერად მოვლისთვის შეგნებას მოკლებულია. დიახ, ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ ადვილად და იაფად მოიპოვოს უკიდურეს გაჭირვების დროს მაინც სწავლული ექიმი, მისი მზრუნველობა და გამოსადეგი წამალი. დიახ, ეგ სწორედ აგრე უნდა იყოს, ამის წინააღმდეგს ვერავინ ვერას იტყვის, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ხშირად ეს ასე არ არის და არ არის ყველაზედ უფრო ჩვენ ქართველთა ერის ცხოვრებაში: უმეტესი ნაწილი ჩვენი ხალხისა, როგორც თვით შეგნებასა და განვითარებას არის მოკლებული, სამკურნალო მეცნიერებისა და თავის ჯან-მრთელობის დაცვისა და მოვლის შესახებ, ისე სწავლული ექიმების დახმარებასა და შემწეობას: ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, ჯეროვნად მომზადებული სამკურნალო მეცნიერებაში ექიმების რიცხვი ერთობ ცოტაა, და რაც მოიპოვებიან, მითაც ასში ერთი თუ ახერხებს სარგებლობას, და რატომ ამის ახსნას აღარ ვხედავთ საჭიროდ, რადგანაც ეს უჩვენოთაც ყველამ კარგათ იცის. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, თუ რა მდგომარეობაშია ამ მხრით სვანეთის ხალხი. სვანების მდგომარეობა, როგორც ბევრი სხვა მოთხოვნილებით, ისე ამ უკანასკნელით ერთობ უნუგეშო და მივიწყებულს სურათს წარმოადგენს. სვანი როგორც თვით შეგნებას, თავის-თავის რიგიანად მოვლის და სიმრთელის დაცვას არის მოკლებული და გაუცნობელი, ისე ექიმის და სამკურნალო მეცნიერების დახმარებას და მითი სარგებლობას. თითოეული მოწყობილება სვანის ოჯახიური მდგომარეობისა, მისი ჩვეულებანი და ცხოვრების წესები აშკარა წინააღმდეგნი არიან ჰიგიენური კანონებისა და ჯან-მრთელობისა. სანიტარულად მომართვა ცხოვრების მსვლელობისა რა არის, ამ ხალხს არც კი გაუგონია, მაგრამ ამასაც გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუაროთ და მარტო იმაზედ ვილაპარაკოთ, თუ რა მდგომარეობაში ვარდება საბრალო სვანი, როდესაც უბედურება ეწვევა და ავათ გახდება ვინმე ოჯახში, ან თვითონ გახდება ავათ. თქვენი მტერი ჩავარდეს ისეთ სასო-წარკვეთილებაში, ჩემო მკითხველო, როგორც ამ უკანასკნელს შემთხვევაში საცოდავი სვანი ვარდება ხოლმე. არსაიდამ, გარდა ღვთისა, მშველელი და მომხმარე არ მოეპოვება. არსად სწავლული ექიმი და მისადგომი წამალი არ ეშოვება. რა ქნას, ვის უნდა მიმართოს, რითი უნდა უშველოს თავის საყვარელ ავათ-მყოფს? მეტი გზა არა აქვს, უნდა მიმართოს მატყუარა მარჩიელს და ცრუ ბებრუხანებს, რომლებიც განუკითხავად აძრობენ ტყავს საბრალო ავათ-მყოფის ჭირისუფლებს, და რომლებისაგან მიცემული წამალი და დარიგება მოხდენის მაგიერ სულ უბრალო, მსუბუქ ავათ-მყოფებსაც საიქიოსკენ ისტუმრებს. შეიძლება ვინმემ იკითხოს: (რატომ უნდა ხდებოდეს ეს ასე მაშინ, როდესაც ლეჩხუმის მაზრაში არის განწესებული ექიმი და უკანასკნელი მხარეც ხომ ლეჩხუმის მაზრას შეადგენსო?)... დიახ, ეგ აგრეა, მაგრამ ამ შემთხვევაში მაგარი ის არის, რომ ამ უკანასკნელით სარგებლობა ერთობ ძნელად უჯდება სვანს. და თუ მივიღებთ შემდეგ გარემოებათა მხედველობაში, მაშინ აშკარათ დავინახავთ, რომ ლეჩხუმის მაზრის ექიმების მხოლოდ სახელით სარგებლობენ სვანები: უმეტესი ნაწილი სვანეთის ხალხისა თითქმის ორი-სამი დღის და ზოგი მეტის სავალზე არიან დაშორებული იმ ადგილზედ, სადაც ბინადრდებიან მაზრის ექიმები; ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სვანეთში, მეტადრე თავისუფალ სვანეთში, თითქმის მთელი ზამთარი გზები იკეტება დიდი თოვლით, ამასთან თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ეხლანდელს დროში ექიმის თითოეული ფეხის გადადგმა თითო ოქრო მაინც ღირს, მაშინ კი დავინახავთ, რომ სვანებს არასოდეს არ შეუძლიანთ ცაგერში (ეხლა აქ არის დაბინადრებული მაზრის ექიმი) დაბინავებულის ექიმით თავიანთი საჭიროების დაკმაყოფილება. სად შეუძლიან საწყალს და ღარიბ სვანს ორი-სამი დღის სავალზედ ექიმის მიწვევა, მისი «პრაგონები» და საჩუქრები. მაგრამ ვსთქვათ, ასში ერთმა როგორმე შესძლო და მიიწვია ექიმი; ნახა ექიმმა სნეული, მაგრამ რა გამოვიდა შეიქნა ისეთი წამალი საჭირო, რომელიც ექიმს თან არა აქვს. ექიმი სწერს რეცეპტს და აძლევს ავათმყოფის პატრონს: ეს წამალი იყიდე და მოიტანეო. რა ქნას ბედშავმა სვანმა, სად იშოვოს ეს წამალი? ვის მიმართოს? არსად შოვნის ღონე, გარდა ქუთაისისა, არ არის და ქუთაისამდის კი დიდ ძალი მანძილი უდევს გასავლელი, რომლის გავლას მოუნდება უკანასკნელი უმახლობელესი სვანეთიდამ ოთხი-ხუთი დღე. სანამ სვანი ამ გზას მოივლიდეს, მანამ სნეულს თავისი ემართება, ჰბარდება სამარეს. ჩვენის აზრით, ძალიან საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება, და რადგან ცაგერში დაბინავებულს ექიმს რაც უნდა ენერგიულად მოსჭიდოს მან ხელი თავის საქმეს, მისგან დამოუკიდებელის მიზეზების გამო, არ შეუძლიან ჯეროვანად დააკმაყოფილოს ამ მხრით სვანების მოთხოვნილება, საჭიროა იქვე, სვანეთში, იქმნეს დანიშნული ერთი თავის ხელობაში კარგათ განვითარებული ფელდშერი მაინც ყოველ გვარის წამლებით, რომ მისცეს შემწეობა ამ ხალხს გაჭირვების დროს და გამოიხსნას მატყუარა მკითხავების მაცდური ძალიდამ, რომლებიც ავათ-მყოფებს დღეს უმოკლებენ და ნივთიერის მხრით დიდს ზარალს აძლევენ. ეს საძნელო საქმეს არ შეადგენს, თუ კი ვინმე მიაქცევს ყურადღებას ამ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას.

ქაიხოსრო გელოვანი.

## სენაკის მაზრიდამ.

**ს**ოფელ ვიწიში, სადაც არც ერთი სკოლა არ ყოფილა აქამომდე, ადგილობით ბლაოჩინმა მღვდელმა სამსონ ანჯაფარიძემ თავის ხარჯით ააშენა სამრევლო-საეკკლესიო სკოლისთვის სახლი, იყიდა სკოლის მოწყობილება და ავეჯეულობა და 11 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ლოცვა-კურთხევით ოფიციალურად გახსნა სკოლა. როცა მამა სამსონ ანჯაფარიძემ მიიღო ყოვლად სამღვდელო გაბრიელისაგან ნება-რთვა სკოლის გახსნაზე, მან ერთ დღეს მოუყარა თავი მრევლს და აუხსნა მას სწავლის სარგებლობა და მასთან გამოუცხადა სამრევლოს, რომ მათ მათი შვილების სასწავლებლად გარდახდებათ ძალიან მცირე ფასი.

ეს სკოლა არის აშენებული ადგილობით ეკკლესიის გალავნის მახლობლად, თვით მ. ანჯაფარიძის საკუთარს ადგილში. ასე რომ მრევლს არავითარიმე ხარჯი არ მოსვლია სკოლის აშენებაზე. გაიხსნა სკოლა თუ არა, მშობლებმა მაშინვე დაიწყეს ყმაწ-

ვილების შემოყვანა სკოლაში. სკოლის გახსნიდამ ივნისის თვემდე სკოლაში შესულა ოცდა რვა ყმაწვილი; ამათში 7 ქალია და 21 ვაჟი. შეძლებული მშობლები იხდიან თავიანთ შვილების სასწავლებლად თვეში ხუთი შაურიდამ ორ აბაზამდე, ხოლო ობლების და ღარიბების მაგიერ თვითონ მ. ანჯაფარიძე აძლევს მასწავლებელს ფულს. რადგან ყმაწვილებისაგან შემოსავალი ძალიან მცირეა, ამიტომ მ. ანჯაფარიძეს მასწავლებელი ჰყავს თავის სახლში თავის საკუთარს ხარჯზე. ამა ივნისის თვეში მე და რამდენიმე სხვა პირნი, რომლებთაგან ზოგი რუსეთიდამ ჩამოსული სტუდენტები იყვნენ და ზოგი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შაგირდები, დავესწარით მ. სამსონ ანჯაფარიძეს ბავშების გამოცდაზე. გამოცდის დროს ყველა ყმაწვილები, რომელთაგან ზოგი თებერვალში შემოსულან სკოლაში და ზოგი აპრილის თვეში, მშვენიერად კითხულობდნენ ქართულად და მასთან წაკითხული სტატიის შინაარსის გადმოცემაც შეეძლოთ. მასთან ყმაწვილებს ამ მოკლე ხანში შეესწავლათ პატარა ლოცვები, საღმრთო ისტორიიდგან ზოგიერთი ისტორიული მოთხრობები და ანგარიში ათამდის. უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა საკმაოდ სწერენ ნუსხური ხელით. ერთი სიტყვით ამ ცოტა ხნის განმავლობაში ძალიან კარგად არიან მომზადებულნი ყმაწვილები. გამოცდის შემდეგ ყველა კმაყოფილნი დარჩნენ მასწავლებლის და აგრეთვე გულითადი მადლობა შესწირეს მ. სამსონ ანჯაფარიძეს ამ კეთილი საქმის მოთავეობისთვის.

მომავალ წელში მ. სამსონ ანჯაფარიძეს იმედი აქვს, რომ მოსწავლეთა რიცხვი სკოლაში იმატებს და ამ გვარად სკოლაც შეკეთდება და მასწავლებელსაც მოემატება საშუალება. ამასთანავე მ. სამსონ ანჯაფარიძე სკოლას სწირავს იმ ერთ ქცევა მიწას, რომელიც ეხლა სკოლას უჭირავს. უნდა აღვიაროთ, რომ სამაგალითოა ამ შემთხვევაში მ. ანჯაფარიძის საქციელი და იმედი გვაქვს, რომ მ. ანჯაფარიძეს ჩვენს სამღვდელოებაში ბევრნი აღმოუჩნდებიან მიმბაძველნი ამ კეთილ საქმეში და სამღვდელოება ამით გამოიჩენს ხალხის აღზრდა-სწავლაში იმ სიხალისეს და მუყაითობას, რომელსაც იჩენდა ის წინა საუკუნეებში.

## აფხაზეთიდამ.

ჩემს წინეთ «მწყემსის» მკითხველები გავაცანი იმ ჩვეულებათ, რომლებიც არსებობენ აფხაზეთში და სამურზაყანოში მიცვალებულის დასაფლავებაზე და გამოტირილზე. უამბე აგრეთვე მკითხველებს, თუ როგორ აღარიბებენ ისეთაც ღარიბს ხალხს ეს უბრალო ჩვეულებანი. მაგრამ ამ დამაღარიბებელ ჩვეულებას გარდა ამ მხარეში ძლიერ გავრცელებული არის სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობა, რომელიც მიწასთან ასწორებს გაუნათლებელ ხალხს. სხვათა ცრუ-მორწმუნეობათა შორის აქაურ გაუნათლებელ ხალხში ღრმად ფესვი აქვს გადგმული ერთ მეტად მავნებელ ლოცვას, რომელსაც ჟინს ეძახიან. (ჟინი მეგრული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს: ზეითურს). თქვენ ვერ ნახავთ აქ ისეთ კაცს, რომ ეს ლოცვა ბეგარად არ ედოს. აი, რაში მდგომარეობს ეს ლოცვა: როცა ვინმე ავათ-გახდება, პატრონი მაშინვე გარბის მარჩიელთან, რომელსაც აქ მეღობიეს ეძახიან. მარჩიელებიც ხომ აქ ბლომათ არიან: სოფელი არ იქნება, რომ ორი-სამი მარჩიელი არ იქნეს შიგ. ესეებიც მაშინვე ავადმყოფის პატრონს ეუბნებიან, რომ შენ ჟინის ლოცვა გმართებია და ამის ბრალია ავათ-მყოფობაო. მერე მოუთხრობს კაცს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ უბედურება აიცდინოს თავიდამ. ავათ-მყოფის პატრონი დიდის შიშით და გულ-მოდგინებით მოუსმენს მარჩიელს და გამოსწევს შინისკენ. შინ მოსვლისათანავე შეუდგება საქმეს: იყიდის ერთ კაი ვერძს და ერთ ვაცს. ამ პირუტყვებს შემოავლებენ თავზე ავათ-მყოფს და მერე ავათ-მყოფის სართუმალზე მიაბმენ დანიშნულ დღემდე. თუ ამ დროს მარხვა იქნა, მაშინ გახსნილებამდის უნდა მოიცადონ და ყველამ უნდა იუქმოს. თუ ვინიცობა არის და ავათ-მყოფი ვადამდის გადიცვალა, მაშინ უტირლად დაასაფლავებენ. შემდეგ, როცა ილოცავენ, მაშინ გამოიტირებენ მიცვალებულს. თუ ხსნილია, მაშინ კვირა დღეს ილოცამენ. მონახვენ იმ ადგილს ანუ იმისთანა მაღალ ხეს, რომელსაც ოდესმე მეხი დასცემია და, თუ ისეთი ხე ან ადგილი ვერ ნახეს, რომელსაც მეხი დაცემია, მაშინ დაასობენ ოთხ ბოძს; ზედ დააწყობენ ჭერს და მაზედ დააფარებენ თეთრ პირკალს. შეწირულ ვერძს და ვაცს დაჰკლავენ და მოხარშავენ. მოხარშულ ხორცს ჭერზე დააწყობენ. ტყავს კი უმაღლეს ხეზედ ჩამოკიდებენ. ამ შემთხვევისთვის საჭირო ქვაბი და საქვაბე ახლად უნდა გააკეთებინონ, თორემ ძველის ხმარება არ შეიძლება. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვის დროს თუ იხმარებენ ამ ქვაბს და საქვაბეს, თორემ უმისოთ იმისი ხმარება არ შეიძლება. წლის დამლევს, დანიშნულ დღეს ამ ადგილას მოიტანებენ: რძეს და ყველით მოზელილ პურს. აქ მოვა მთელი გვარეულობა და მოიტანს: სანთელს, საკმეველს. მოიყვანენ თავიანთ მლოცველებს. თავიანთი ავად-მყოფიც აქ მოჰყავსთ. მლოცველი მოჰკიდებს ხელს ავათ-მყოფს, შემოარონიებს სამჯერ ამ ბოძებს და იძახის შემდეგ სიტყვებს: ატრჩაფვა, ჩოუფარა. ეს მლოცველის სიტყვები ყველასთვის გაუგებარნი არიან. შემდეგ ამ სიტყვებისა ყველანი დაიჩოქებენ და ჟინს მისცემენ შემდეგს ფიცს: კვირაში იუქმონ ერთი კაი სამუშაო დღე, არ იმუშაონ, არც გაყიდონ რამე და არც იყიდონ. არც თავის სახლში და არც სხვაგან მიცვალებული არ იტირონ იმ დღეს და არც სახლი დახვეტონ; მიცვალებულზე შავის მაგიერ თეთრი ან წითელი ტანთსაცმელი ჩაიცვან; აბრეშუმი არ გააჩინონ სახლში. შემდეგ ამ ალთქმისა, ყველანი დაჯდებიან და დროს გაატარებენ. შეწირული ცხოველის ხორცს არას გზით არ აჭმევენ ქალს და ამ დროს არც კი შეუძლია აქ ქალი დაესწროს. ცხოველის ტყავები რჩება ხის წვერზედ. ამ ლოცვის შემდეგ თუ მორჩა ავათ-მყოფი, ხომ კარგი და, თუ არა, ისევ გარბის ავათ-მყოფის პატრონი მარჩიელთან. ისიც მისულს შემდეგს სიტყვებს უყვირის: მეჩიათერექ, მეჩიათერექ! ეს სიტყვები ქართულად ნიშნავენ: შემცთარხარ, წმიდა გულით არ შეგიწირავს მსხვერპლი და ან დაგიკლია რამე და ამიტომ ხელ ახლად უნდა ილოცო ხოზოთი. (ხოზოს რძით მოხარშულ ყველიან ქადს უძახიან). თუ ავად-მყოფი მორჩა, ხომ კარგი და თუ მოკვდა, მაშინ დაწესებულ დღემდე არ გაამხელენ და არც იტირებენ.

ვინც ამ ჭირის ბრალით ხდება ავად, პირველად ავად-მყოფობს, როგორც ჩვეულებრივი ავათ-მყოფი და რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყებს ქადაგებას. ამ გვარი ავათ მყოფობით ხდებიან ავათ უფრო უცოლო ვაჟები და გაუთხოვარი ქალები. ამ პირებს რამდენიმე დღე ძალიან სიცხე აქვსთ, ასე რომ უგრძნობლად გდიან; მერე გამოაცხადებენ, რომ იგინი ღმერთი არიან, ანუ ანგელოზები და მასთან უცხადებენ ყველას, რომ, რაც უნდა ბრძანონ მათ, ყველა უნდა აღუსრულონ. ამისთანა პირები ხშირად უქადაგებენ ხალხს, რომ მათ წმინდათ იქონიონ სახლი, ღმერთს მეტანიით შეევედრონ და მერე იწყებენ თამაშს და ამ თამაშობის დროს იძახიან: ატრჩაფა, ჩოუფა, სხვა მოთამაშენი ამ დროს მისძახებენ: აჰა, იჰაა. ამისთანა ავად-მყოფობით ზოგიერთ ოჯახში ხშირად ხუთიც ხდება ავად და ყველას ღმერთად და ანგელოზებად მიაჩნიათ თავი. რომელიც ამ სენით პირველად გახდება ავად ოჯახში, ის ყველასაგან იწოდება შემდეგ თავ-ანგელოზად.

გარდა ამისა, როგორც ზევითაც ვსთქვი, ბევრი სხვა ამისთანა ცრუ-მორწმუნეობანი არიან გავრცელებულნი აქ და ამ ცრუ-მორწმუნეობას ისეთი მაგრათ აქვს ფესვი გადგმული გაუნათლებელ ხალხში, რომ მათი აღმოფხვრა შეუძლებლადაც ეჩვენება კაცს თავდაპირველად. აი, სწორეთ ადგილი, სადაც სკოლას ფართო ადგილი უნდა ეკავოს და სადაც სამღვდელო პირნი უფრო განათლებულნი უნდა იყონ, რომ მათ თავიანთი სწავლა-დარიგებით იქონიონ გავლენა გაუნათლებელ ხალხზე. აგრეთვე საჭიროა, რომ იმ საზოგადოებათ, რომელთაც ხალხის განათლება აქვსთ სახეში, დიდი ყურადღება მიაქციონ ამ მხარეს. გარდა ამისა, რამდენია აქაური ახალგაზდები, რომელთაც უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებშიაც მიუღიათ განათლება, მაგრამ ისინი სრულიად არ მეცადინეობენ, რომ თავიანთ მოძმე ხალხში სკოლები, ან სხვა რამ სასარგებლო დაწესებულებანი დაარსონ.

მ. პ. ასათიანი.

## არგვეთიდამ.

ამას წინეთ მე ვიყავი სოფელ არგვეთაში (შორაპნის მაზრაში). ეს სოფელი სწორეთ რომ მშვენიერი არის. მცხოვრებლების რიცხვი ამ სოფელში შვიდასამდის არის. მცხოვრებლები უმეტესად მიწის მუშაობას ეწევიან. მოგზაური ყველგან ხედავს მშვენიერ ვენახებს და ყანებს. პეტრე პავლობის დღესასწაულზე მე დავესწარი ამ სოფლის ეკლესიაში. ეკლესიაში მრავალი მლოცველები იყო. წირვის შემდეგ ეკკლესიაში წაიკითხეს ჩვენი ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელის ქადაგებიდამ დღის შესაფერი სიტყვა. სიტყვას ყველანი გულს მოდგინებით ისმენდენ. წირვის გათავების შემდეგ ხალხი გაემგზავრა თავის სახლებში. სასიამოვნო სანახავი იყო, როცა ხალხი სახლებისაკენ მიდიოდა: ქალები ცალკე იყვნენ დაწყობილნი და კაცები ცალკე და მუსაიფით შინისკენ მიიჩქაროდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სოფლის მცხოვრებლებისაგან ვერ გაიგონებთ ისეთ ლანძღვა-გინებას, როგორც ეს უკანასკნელი ძალიან გავრცელებულია აღმოსავლეთის საქართველოში. უველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ამ სოფლის თავად-აზნაურობა გლეხებზე ნაკლებ არ ეკიდება მიწის მუშაობას. სამღვდელოებასაც ძალიან ბეჯითად მოუკიდნია ხელი ამავე მუშაობისთვის. ამ მხრით ამ სოფლის სამღვდელოება მნახველს მოაგონებს გურმანიის სამღვდელოებას.

როგორც ზევითა ვსთქვით ამ სოფლის მცხოვრებლების რიცხვი შვიდასამდის არის და, სამწუხაროდ, ერთი სოფლის ან საეკკლესიო-სამრევლო სკოლაც არ არის აქ. თუმცა ამას წინეთ ყოფილა ამ საზოგადოებაში სკოლა, მაგრამ დღეს ეს სკოლა დაკეტილია. ამის მიზეზად უველანი სკოლის მასწავლებელსა რაცხვენ, რადგან მასწავლებელს სამი წლის განმავლობაში ვერაფერი ესწავლებია ყმაწვილებისთვის. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, ამ სკოლის მასწავლებლები ხალხს ურიგოდ ექცეოდენო. ხალხსაც ამიტომ აუცრუებია სკოლაზე გული და სკოლა დაუკეტავთ. ეს ასეც უნდა იყოს, თორემ ამდენ მცხოვრებლებს როგორ გაუჭირდებოდათ სკოლის შენახვა.

საუბედუროდ, ამისთანა საყვედურს ზოგიერთ სოფლის სკოლების მასწავლებლებზე ბევრგან გაიგონებთ სოფლებში. ბევრგან უჩივიან სოფლის მასწავლებლებს, რომ ისინი მუყაითად არ ჰკიდებენ ხელს თავიანთ საქმეს. ნაცვლად მისა რომ თავიანთი კაი ყოფაქცევით მათ ხალხში აღადგინონ დაცემული ზნეობა, ისინი უფრო უზნეობის მაგალითის მიმცემნი არიან. თუმც ასე გულ-გატეხილნი არიან არგვეთლები სოფლის სკოლის მასწავლებლებზე, მაგრამ დღეს აქ კითხვა აღძრულა სკოლის გახსნაზე. ამ კითხვის აღძვრა ეკუთვნის ადგილობით მღვდლის შვილს ვლ. აბრამიშვილს, რომელიც ძალიან მეცადინობს, რომ ამ სოფლის მცხოვრებთ შეაგონოს სკოლის სარგებლობა და ამგრად არგვეთლებმა კვალად სკოლა გახსნან თავიანთ სოფელში. ვლ. აბრამიშვილმა წელს შეასრულა სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ეს ყმაწვილი სწორეთ რომ რიგიანი ყმაწვილია და ხალხსაც დიდი მატივისცემა ქვას მისი და უეჭველია, რომ ყველა ეს ეები ხელს მოუწყობენ სკოლის გახსნის საქმეს. როგორც გავიგე, ვლ. აბრამიშვილს ბევრი გავლენიანი პირებისათვის მიუმართავს და უთხოვნია, რომ მასს შემწეობა აღმოუჩინონ ამ საქმეში, და იმედია, რომ ადგილობითი ბლაღ. მ. ი. აბაშიძე და იმ სოფლის თავად-აზნაურობა შემწეობას აღმოუჩენენ ამ ახალ-გაზდა კაცს. სკოლის გახსნა მით უფრო საადვილოა, რომ სკოლის შენობა მზათ არის.

სამწუხაროა, ღმერთმანი, რომ ხალხი სკოლებს ხსნის და, ზოგიერთი სოფლის მასწავლებლების უვარგისობისა გამო, ისევ ჰკეტავს ამ სკოლებს.

ზ. ჭ.

---

## სიღნაღის მაზრიდამ.

წრეულს სიღნაღის მაზრაში ძლიერ ნაკლები მოსავალი იყო პურისა, ქერისა და ფეტვისა. ხალხს კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ვენახები მაინც შეუსრულებდენ ამ დანაკლის, მაგრამ დიდი სიცხეების გამო, ვგონებ, ღვინოც ხეირიანად არ მოვიდეს. ამ მოუსავლობის გამო სოფლებში ისეთი ხრიანცელი და დავი-დარაბაა, რომ მეტი აღარ შეიძლება. უველა ეს დავი-დარაბა და ხრიანცელი ატეხილია მხოლოდ მღვდლების დრამის აკრეფისა გამო. სასულიერო და სახოსციელო მთავრობათაგან დადგენილია, რომ მღვდლებს მათმა სამრევლოებმა სარჩო მისცენ; მაგრამ რა მისცეს მრევლმა მღვდელს, როცა არასფერი არ მოსვლია? ამ შემთხვევაში მღვდელი არ არის დამნაშავე; ისიც კაცია და, როგორც კაცს, მასაც ესაჭიროება დღიური საზრდო. ამასთან მღვდელს არავითარიმე ჯამაგირი არ ეძლევა. სოფლელები ამას არ დასდევენ და უნდათ, რომ მღვდლებს არასფერი არ მისცენ ამ წელში. ამ შემთხვევაში მათ მხარს აძლევენ მათი ზოგიერთი მეუფროსენი და, შემწეობის მაგიერ, ხალხს კიდევაც აქეზებენ ზოგან, რომ სამღვდელოებას წელს ხვედრი პური არ მისცენ და ამ გვარად დაუკარგონ მათ უმაღლესი მთავრობისაგან დაწესებული დრამა, ანუ როგორმე შესცვალონ ამ დებულობის წესები, რასაკვირველია თავიანთ სასარგებლოდ და მღვდელთა საზარალოდ. აი ამიტომ არის კარგი, რომ მღვდლის ყოველ გვარი ხორაგოულობით შემოსავალი ფულათ იქცეს, ეს ფული იკრიბებოდეს სხვა სახელმწიფო გადასახადთან ერთად, იგზავნებოდეს ხაზინაში და იქიდამ ისე ეძლეოდეს სამღვდელოებას ჯამაგირი, როგორც სხვა მოსამსახურე პირებს. თორემ რა ჰქნას სამღვდელოებამ ამ წელში, ანუ ამის მსგავსებში? მრევლი

თავის ნებით არას მისცემს მასს, ადგილობითი სამოქალაქო მთავრობაც სამღვდელოებას შემწეობას არ აძლევს ამ შემთხვევაში, თუმცა ამისთანა მოუსავლობის დროს უმაღლესი მთავრობის გარდაწყვეტით სამღვდელოებისათვის სასოფლო პურის მაღაზიებში უნდა მოიკრიბოს პური და მიეცეს მღვდელს. და ვინ არის ეს ამკრეფი, თუ არ ამ ადგილობრივი სოფლის მთავრობა? ვნახოთ, როგორ მოიქცევიან წელს. სამწუხაროდ უნდა ვაღვიაროთ, რომ სოფლის სამღვდელოებას დიდი დევნა და დაბრკოლება ეძლევა ზოგიერთი პოლიციის წვრილ-ფეხთა მოსამსახურეთაგან. დრო არის, ყურადღება მიაქციონ სამღვდელოების ამფერ მდგომარეობას.

ვინმე თავადი.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ ის დავა, რომელიც კაი ხანია სწარმოებს ბერძნების და ქართველ ბერების შორის ივერიის (ათონის) მონასტრის შესახებ. ბერძნების ბერები მეცადინობენ, რომ ქართველებს ჩამოართვან ივერიის მონასტერი. ამ დავის შესახებ ერთ რუსულ გაზეთ **«Церковно-общественный вѣстникъ»**-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო სტატიას—«დავა ბერძნებს და ქართველებს შორის». აი ეს სტატია:

«ბერი ვენედიქტე, რომელიც ქუთაისის გუბერნიის აზნაურთ თაგანია, დარწმუნდა რა რომ ბერძნების ბერებს არა სურთ იცნონ ქართველები ათონის მონასტრის მკლობელებად და მეორეს მხრით, დაინახა რა, რომ ათონზე ქართველთა ბერები უკიდურეს სიღარიბეს ითმენენ, განიზრახა მოციქულის იოანნე ღვთის-მეტყველის დანგრეული კინოვიის განახლება, რომ ამით თავ-შესაფარი ჰქონოდათ ქართველ ბერებს, რომელნიც გაფანტულნი არიან ათონშიდ და ამ ბოლოს დროს ვენედიქტემ კიდეც შეასრულა თავის სურვილი, თუმცა ამ საქმეში ბერძნები დიდ დაბრკოლებას აძლევდნენ მას და ბოლოს ბერძნებმა ეკკლესიის მხრეკლობაც ჩაიდინეს მით, რომ ახალ აღშენებულ ტაძარზე მოანგრიეს გუმბათი. იოანნე ღვთის-მეტყველის მონასტერში მოიყარეს თავი გაფანტულმა ქართველთ ბერებმა, მაგრამ აქაც წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველებს ბერძნებმა იმით, რომ მათ ამ მონასტერზედაც უნდოდათ გაევრცელებიათ თავიანთი წესები. ამით ნამდვილად დამტკიცდა, რომ სანატრელი მშვიდობიანობის დამყარება აქ არ შეიძლებოდა და ამიტომ მ. ვენედიქტემ ამ საქმის თაობაზე საჩივარი დაიწყო რუსეთის გარეშე საქმის სამინისტროსთან და რუსეთის ელჩთან კონსტანტინეპოლში. რუსეთის ელჩებმა კონსტანტინეპოლში უუ. ნოვიკოვმა და ნელიდოვმა კანონიერად იცვნეს მ. ვენედიქტეს საჩივარი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არა ჰქონდათ არავითარიმე კანონიერი საშუალება ამ კითხვის მშვიდობიანად გარდასაწყვეტად და ამიტომ უ. ნელიდოვმა ენერგიულად მოითხოვა, რომ ბერძნებს ჩამორთმეოდათ ყველა ის მამულები, რომელნიც ივერიის მონასტერს ეკუთვნიან რუსეთში და ჩაბარებოდათ ახლად დაარსებული ივერიის იოანნე ღვთის-მეტყველის უდაბნოს წარმომადგენლებს.»

«ამ კითხვამ მიიპყრო ყურადღება მთელი მართლმადიდებელი საქართველოს ხალხისა. საქართველოს თავად-აზნაურობამ მიიღო მონაწილეობა ამ საქმეში და ზოგიერთს თავის მოწინავე პირებს და სხვათა მიანდო შუამდგომლობა ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და საჭირო შემთხვევაში თვით მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის წინაშეც, რომ ეს კითხვა ქართველი ბერების სასარგებლოდ დაბოლოვებულიყო. გარდა ამისა მთელი საქართველოს თავად-აზნაურობა სთხოვს ამასვე უწმიდესს სინოდს.»

«ამისთანა ერთობის მიზეზი, რომელიც ჩვენ დროში ძალიან ძვირია, უნდა ეძებოს კაცმა ხალხის ზეპირ გადმოცემაში, აღთქმაში და მთელი ხალხის წარსულში, რომელიც შემდეგში მდგომარეობს.»

«იმის შემდეგ, რაც საქართველო განათლდა ქრისტეს სწავლით, ის ყოველთვის ჭეშმარიტად და გულსმოდგინეთ იცავდა ქრისტიანობას. ხმლით და თავის შვილების სისხლით იცავდა ქრისტიანობას მრავალ მტერთაგან, რომელნიც საქართველოს ყოველი კუთხიდამ ესევოდნენ. ბევრი უბედურება და წვალება გამოსცადეს ქართველებმა, ბევრჯელ მოელოდათ მათ დედა-მიწის ზურგიდამ აოხრება, მაგრამ მათ არას დროს არ მიუტოვებიათ ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ქრისტიანობა იყო ქართველებისთვის ლამპრად, რომელიც უნათებდა მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების გზას და ქართველებსაც მტკიცედ ეჭირათ ეს ლამპარი. მეფეებიდამ დაწყობილი უკანასკნელ გლეხამდე ყველანი ერწმუნებოდენ ღვთის განგებას და ამ რწმუნებაში პოულობდა საქართველო ძალას თავის მტრების წინააღმდეგ. ისტორია მოწმობს, რომ თავი მიზეზები, რომლებიც ჰბადავდნენ ქართველებში მტკიცე სარწმუნოებას, იყვნენ ჩ̈ის წმიდა ადგილები, რომელნიც სიმართლით შეიძლება ვალღიაროთ ქართველების საკუთრებად. ძნელი მოსათვლელია, თუ რამდენი სისხლი და კაცის ცხოვრება შეწირულა ქართველების მხრით რომელიმე წმიდა ადგილების დასაცველად. ამისთანა წმიდა ადგილების რიცხვს ეკუთვნის წმიდა ათონის მთა, რომელიც შეადგენს ზეპირ გადმოცემით ღვთის მშობლის ქვეყნიურ ხვედრს. არც ერთი ხალხი ისე პატივს არა სცემს ღვთის-მშობელს, როგორც ქართველები; ეს ერთის მხრით იმიტომ, რომ ღვთისმშობელს ძალიან უყვარდა საქართველო, როგორც მისდამი წილ ხდომილი ადგილი. ათასი წელი გავიდა მას აქეთ, რაც ქართველებმა იწყეს ათონის მთაზე სიარული და X საუკუნეში, დავით კურო-პალატის მეფობის დროს, ქართველებმა დააფუძნეს ათონზე ივერიის მონასტერი. მონასტერმა მიიზიდა როგორც ურიცხვი მლოცველები, აგრეთვე მრავალი შეწირულებანი. საქართველოს მატიანეში და ისტორიაში ბევრგან არიან მოხსენებულნი ისეთი შეწირულებანი, რომელნიც მომხდარან როგორც ქართველების მეფეებისაგან, აგრეთვე გარეშე პირთაგან“.

„ესვე ნამდვილი ისტორიული საბუთები გვიმტკიცებენ, რომ ქართველებს დიდხანს არ ჰქონიათ აქ მყუდრო ცხოვრება, რომელიც შეწირული ჰქონებიათ წმიდა ადგილებისთვის და წმიდანებისთვის. ბერძნები, აღჭურვილნი შურით და ანგარების მოყვარებით, მუდამ ეჩხუბებოდნენ ქართველებს და რადგან ისინი უფრო ბევრნი იყვნენ რიცხვით ქართველებზე, ამიტომ ხშირად ჩაიგდებდენ ხოლმე ხელში მდიდარ ივერიის მონასტერს. მაგრამ ამ შემთხვევაში სიმართლე თავისას შვებოდა და ქართველები თავიანთ მეფეების და ბიზანტიის იმპერატორების შემწეობით ისევ იბრუნებდნენ ხოლმე წართმეულ მონასტრებს. იმპერატორმა მიხაილ V პალეოლოგმა გამოიკვლია ბერძნებისაგან წართმეული მონასტრის საქმე და მისცა ქართველებს სიგელი, რომელზედაც დასმული იყო სახელმწიფო ბეჭედი. ამ სიგელში აღიარებული იყო ათონის მონასტრის ივერიელებისადმი კუთვნილება. მიხაილ პალეოლოგისაგან ქართველებისადმი ნაბოძები სიგელი მუდამ ივერიის მონასტრის წიგნთ-საცავში ინახებოდა და ეს სიგელი წარსულ საუკუნეში ნახა რუსმა ბარსკი-გრიგოროვიჩმა, რომელიც თავის მოგზაურობის აღწერაში ამბობს, სხვათა-შორის, შემდეგს: „და ის ნამდვილი სიგელი ტყავზედ დაწერილი და ხელმოწერილი სამის პირისაგან: ქრისტეს მორწმუნე მიხაილის, მორწმუნე მეფე და საბერძნეთის თვით მპყრობელის, დუკა-და ანგელ კომნინ პალეოლოგისაგან, 381 წ. (1318); ეს სიგელი ყველაზე მშვენიერად დაწერილია და მასზე დასმულია მრავალი ბეჭედი. სიგელის ნაპირებზე დაწერილია წლები, მისი წაკითხვა ქართველებს გარდა არავის შეუძლია, რადგან სიგელი დაწერილია ქართულის ასოებით“.

„ამ სიგელის საფუძვლით ქართველები ირიცხებოდნენ ივერიის მონასტრის ნამდვილ მფლობელებად მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდის, როცა ბერძნებმა ისევ ისარგებლეს თავის ძალით და საუკუნოდ ჩაიგდეს ხელში ეს მონასტერი. ერთად ერთი საბუთი, რომელიც ქართველების ხელში იყო და რომელიც ამტკიცებს ქართველების უფლებას ამ მონასტერზე, არის ძველი მატიანე, ქართულს ენაზე დაწერილი XI საუკუნეში. დანარჩენი განაჩენები და საბუთები, რომელნიც ინახებოდნენ ივერიის წიგნთ-საცავში, ნამდვილად მოტაცებულნი არიან ბერძნებისაგან. ეს მითაც მტკიცდება, რომ რუსეთის მსწავლულებს, რომელნიც მიდიოდნენ ათონზე, როგორც მაგალითებ, ი. ს. ნალმოვს, არ უშვებდენ ბერძნები ამ მონასტერში, რომ ამ სწავლულებს რამე გამოეკვლიათ“.

„ამ გვარად ეს საქმე საინტერესოა არა მარტო ორიოდე ბერებისთვის, რომელნიც აგერ საუკუნის მეოთხედ მეტს ითმენენ ყოველივე შევიწროებას და დევნას ბერძნებისაგან, არამედ მთელი საქართველოს ხალხისთვისაც, რომელსაც ათონის მონასტერი იერუსალიმის შემდეგ ეხლაც მიაჩნია ერთ წმიდა ადგილად. ნამდვილია, რომ არც ერთ ქართველს არ შეუძლია შეურიგდეს იმ აზრს, რომ მან რამდენიმე ბერძნის ბერების თვით მნებლობის წყალობით დაჰკარგოს ამ მონასტერზე ის უფლება, რომელიც დამტკიცებულია საუკუნოებით და მინიჭებული აქვს მათ მათი კანონიერი მეფეებისაგან და სხვა ქრისტიანი ხელმწიფეებისაგან. ქართველებისკენ არის—სიმართლე, კანონი და ისტორია, ბერძნებისკენ—ძალა და თვით-მნებლობა. მაგრამ საქართველოს იმედი აქვს, რომ ყოველივე თვითმნებლობას მიეცემა დასასრული და ადრე თუ გვიან

მათი უფლებანი იქმნებიან აღდგენილნი მით უმეტეს, რომ ეხლა მათ ჰყავთ დიდი მცველი, რომელიც არინებებს რომ მის ქვეშევრდომთ და მათ ქონებას მოეპყრონ ასე თავისებურად, მისი Უდიდებულესობა ხელმწიფე Იმპერატორი ცხოველ მონაწილეობას იღებს ახლად დაარსებული Იოანნე Ღვთის მეტყველის მონასტრის ბერების მდგომარეობაში. Უმხედვარე ამ მონასტრის ბერების უკიდურესი მდგომარეობისა, მათმა Უდიდებულესობამ კეთილ ინებეს შეწირვა თავიანთ საშუალებათაგან 15,000 მანათისა იმ ვალების გადასახდელად, რომელნიც მოხდენ შენობების აგებისთვის და ძველი მონასტრის ვასაახლებლად და მასთან ბრძანეს, რათა ყოველ წლობით ეძლიოს მონასტერს მათი Უდიდებულესობის კაბინეტისაგან 3,000 მანეთი, სანამ ბერძნებს და ქართველებს შორის არ გათავდება დავა.

საქართველოს თავად-აზნაურობა, რომელიც ყოველთვის განსხვავდებოდა თავის სარწმუნოებით, სიხარულით სწირავდა Ივერიის მონასტერს როგორც მოძრავს, ისე უძრავ ქონებას. Და როდესაც ამისთანა შეწირულებას ჩადიოდენ ქართველები, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ვერავინ აღუკრძალავდა ამ წმიდა ადგილების თაყვანის ცემას, რომელთაც ისინი სწირავდნენ თავის ქონებას. Გარდა ამისა, რადგან თავად-აზნაურობა ხშირად ანებებდა თავს ქვეყნიურ ცხოვრებას და შეუდგებოდა ხოლმე Ღვთის სამსახურს, იმედი ჰქონდათ, რომ ის Ათონის მთაზე მოიპოვებდა განსვენებას და თავ-შესაფარს, თუმც რომელიმე წევრი ამ თავად-აზნაურობისა განუტევებდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. Ამ გვარად, შეწირულებანი, რომელთაც სჩადიოდა საქართველოს თავად-აზნაურობა Ივერიის მონასტრის სასარგებლოდ, იყვნენ პირობით შეწირულნი; შემწირველებს ჰქონდათ სახეში, რომ იმათ ექნებოდათ რამე უფლება და უპირატესობა. Მაგრამ ცოტა რიცხოვანი ბერძნების თვით-მნებლობამ სულ სხვა წინააღმდეგი შედეგები გვიჩვენა: შემწირველები არამც თუ ვერ სარგებლობენ უპირატესობით, რომელიც მათ ეკუთვნის კანონით, არამედ მათ ერეკებიან Ათონიდგან და აკლებენ მათ იმ უფლებასაც, რომ პატივისცენ თავიანთ თაყვან საცემელ წმიდა ადგილს. Აი, ჩვენის აზრით, იმ გულგრილობის მიზეზი, რომელიც მოედო ეხლანდელ დროში მთელს საქართველოს Ივერიის მონასტრის ნამდვილ მფლობელთადმი გადაცემის შესახებ. Სარწმუნოება საქართველოს ხალხში ეხლაც მტკიცეა, მაგრამ ბევრი წმიდა ადგილები რომელთაც ქართველები დიდს პატივს სცემდენ და რომელნიც იცავდნენ ქართველებში ამ სარწმუნოებას, უკვე წაერთვა მათ. Ხალხში კიდევ დარჩენილა ამ წმიდა ადგილების პატივისცემა, ხალხი დიდად პატივსცემს მათ კიდევ, მაგრამ თუ ამფერი საქმე კიდევ გაგრძელდა, მაშინ ხალხის გულისაგან ამოირეცხება თვით ამ ადგილების მოგონებაც და ხალხი, უმექონელობისა გამო წყაროისა, საიდამაც შეიძლებოდა სულიერი ძალის მოპოება, თან-და-თან ჩავარდება ურწმუნოებაში.

Მაგრამ იმედია, Ღმერთი არ ინებებს, რომ ამისთანა საქმე მოხდეს და საქართველო უწინდებულად პატივსასცემს ძველ Ივერიის მონასტერს, რომელიც უსათუოდ უნდა გადვიდეს ნამდვილ და კანონიერ მის მფლობელების ხელში.

მიბაძვა მე იდ ფსალმუნისა.

(Უძღვნი ს. ა—ს.)

ღმერთო, ვინ ჰღირსა შენს კარავს შესვლას,
ან დამკვიდრებას შენს მთა-წმიდაზე?
—ის, ვინც უბიწოდ ამ ქვეყნად დავალს,
ვინც შურის გესლით არ უბნობს ძმაზე;
ვინცა ღაღადებს ჭეშმარიტებას,
ბოროტს არ უყოფს თავის მოყვასსა,
მახლობელთ ვინც არ ასმენს ყვედრებას,
სიმდიდრისას არ ჰმონებს ძალასა!
ვინც ამ წუთიერ სოფლის ძლიერებს
ქვეყნის სიმართლეს უშიშრად ამხელს,
ვინცა დაცემულთ, ჩაგრულ მოძმეთა
წამოსაყენად ჰშველის, ხელს აწვდენს;
ვინც სიტყვას მისცემს, ეფიცვის მოყვასს,
არ მოატყუებს და შეუსრულებს,
ვინც მსხვერპლად მამულს თავსა შესწირავს,
და თვით მოსისხლე მტერს ცილს არ სწამებს!!..

ის ჰღირსა, ღმერთო, შენს კარავს შესვლას,
შენს მთა-წმიდაზეც ის დაიმკვიდრებს...

ჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატიანე

## საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების.

ჩვენ მივიღეთ მშვენივრად გამოცემული ქართული ქრისტომატია უმცროსის კლასებისათვის, შედგენილი ბ. მ. ნასიძისაგან. ფასი ამ წიგნისა არის დანიშნული სამი აბაზი და უზანთული. ეს წიგნი იყიდება თბილისში ყველა წიგნის მაღაზიებში და ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ეს წიგნი ყველა ქართველ ოჯახისათვის ძლიერ საჭირო და სასარგებლოა. ეს ქრისტომატია სასარგებლოდ დარჩება ჩვენი საეკკლესიო-სამრევლო ორ კლასიანი სკოლებისათვისაც.

***

ერთ რუსულ გაზეთს «Петербургскія вѣдомост.»-ში ვკითხულობთ, რომ ბ. საბინინს მიურთმევია სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევისათვის თხოვნა კახელების მხრივ, რომ ერთ-ერთი ადგილობრივი ბერების მონასტერი მონოზნების მონასტრად გადაკეთდეს წმ. ნინოს სახელობაზედ. ამ თხოვნის მიზეზათ ის მოუყვანია, რომ ამ ჟამად ბერების რიცხვი წლითი-წლის კლებულობს და მონოზნებისა მატულობსო. თხოვნას, როგორც ისმის, შეიწყნარებენო.

---

## რით სცხოვრებს კაცი.

მოთხრობა გრაფი ლ. ტოლსტოისა (რუსულიდგან).

(გაგრძელება)

### V თავი.

წილას გამოიღვიძა სიმონმა. შვილებს ძინავსთ, ცოლი კი მეზობლებში წასულა პურის სასესხებლათ, მარტო ერთი გუშინდელი მოგზაური ძველს ნიფხავ-პერანგში ზის სახარაზოში და ზევით იცქირება. პირის სახეც გუშინდელზედ უფრო ბრწყინვალე აქვს.

ეუბნება სიმონი:

— რა ვქნათ, საყვარელო ძმაო: მუცელი პურს ითხოვს და ტიტველი ტანი ტანისამოსს. საზრდოება საჭირო. შეგიძლია რამე მუშაობა?

— არაფერი არ ვიცი.

გაუკვირდა სიმონს და ეუბნება:

— სურვილი უნდა იყოს, თორემ კაცი ყველაფერს დაისწავლის.

— ხალხი მუშაობს და მეც ვიმუშავებ.

— რა გქვია შენ?

— მიხეილი.

— აბა მიხეილ, შენ ვინაობაზე თქმა ხომ მაინც არ გინდა—ეს შენი საქმეა, მაგრამ საზრდოება კი საჭიროა. თუ იმუშავებ, რასაც გიბრძანებ—გარჩენ.

— ღმერთმა გიშველოსთ, მე კი ვისწავლი, ოღონდ მიჩვენე, რა გავაკეთო.

აიღო სიმონმა დაუძახველი ძაფი, ჩამოიცვა თითებზედ და დაუწყო ძახვა.

— ძნელი საქმე არ არის, უცქირე...

შეხედა მიხეილმა, ჩამოიცვა ისე თითებზე, მაშინვე გადიღო და დაუწყო ძახვა.

მიხეილმა დაძახა ბოლოები ამ ძაფისა; სიმონმა ახლა აჩვენა, თუ როგორ უნდა გამოხარშონ. ისიც მალე გაიგო მიხეილმა. ოსტატმა აჩვენა კიდევ, თუ როგორ უნდა დანის ლესვა—ისიც უცებ გაიგო მიხეილმა. რა სამუშევერსაც აჩვენებს სიმონი, სუყველაფერს უცბათ გებულობს, ასე რომ მესამე დღიდგან ისე დაიწყო ჩექმების კერვა, თითქო ასი წელიწადი ეკეროს. მუშაობს დაუსვენრათ, სჭამს ცოტას და, როცა სამუშევარი გამოელევა, არის გაჩუმებული და სულ მაღლა იცქირება. ქუჩაში არ გამოდის, მეტს არაფერს ლაპარაკობს, არც ხუმრობს და არც იცინის. მხოლოთ ერთხელ ნახეს გაცინებული, როდესაც დედა-კაცი ვახშმათ შეეპატიჟა.

### VI თავი.

დღე-დღეზე, კვირე-კვირეზე, წელიწადიც შესრულდა. სცხოვრობს მიხეილი უწინდურებ სიმონთან და მუშაობს. გავარდა ხმა სიმონის მუშაზე, რომ ისე წმინდათ და მაგრათ არ ვინ არ ჰკერავსო, როგორც სიმონის მუშა მიხაილიო. დაიწყეს სიმონთან სიარული ჩექმების შესაკერავათ მთელი ახლო-მახლო მაზრებიდგან. მოემატა სიმონს შემოსავალიც.

ერთხელ ზამთარში სხედან სიმონი და მიხაილი და მუშაობენ, უეცრივ მოადგება ქოხის კარებს კარეტა ზარებით. შემოიხედეს ფანჯარაში, გააჩერეს კარეტა ქოხის წინ. ჩამოხტა მარდათ ყმაწვილი და გაუღო კარეტის კარები. გამობრძანდა კარეტიდგან ქურქში გახვეული ბატონი და წავიდა სიმონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლისკენ, შევიდა დერეფანში. მატრონა გამოვარდა და გაუღო კარები. დაიღუნა ბატონი და შევიდა ქოხში, გაიმართა და კინაღამ ჭერამდის აუწია თავი, მთელი კუთხე მან დაიკავა.

სიმონი ადგა, თავი დაუკრა და გაუკვირდა. იმას ამ გვარი ხალხი ჯერ არ ენახა. თვითონ სიმონი გამწვარი იყო, მიხეილი ხმელ-ხმელი და მატრონა კიდევ ნაფოტივით გამხმარი და ეს კაცი კი რაღაც სხვა ქვეყნიდგან მოსულს გავდა; პირის სახე წითელი და ჩამოქნილი, კისერი მოზვრისა და მთელი ტანი ისეთი, თითქო თუჯიდგან არის ჩამოსხმულიო.

ბატონმა გაიძრო შუბა, დაჯდა დუქანში და დაიწყო ლაპარაკი.

— რომელი ხართ უფროსი ხარაზი?

წამოდგა სიმონი და ეუბნება:

— მე, თქვენო ხარისხოვნებავ.

დაუძახა ბატონმა თავის უნცროს: ეი, თედორე, მოიტა აქ საქონელი.

შემოვარდა ბიჭი, შემოიტანა რაღაც შეკრული, მოჰკიდა ბატონმა ხელი შეკრულ საქონელს და სტოლზედ დადო.

— გახსენი, ეუბნება. გახსნა ბიჭმა. დაადვა თითი ბატონმა საქონელს და ეუბნება სიმონს:

— გესმის შენ, ხარაზო, ხედავ რა საქონელია?

— ვხედავ—ეუბნება, თქვენო კეთილ-შობილებავ.

— შენ იცი რა საქონელია ეს?

მოჰკიდა ხელი სიმონმა საქონელს და ამბობს:

— საქონელი კარგია.

საქმეც ეგ არის რომ კარგია. შე სულელო, შენ არც კი გინახავს ჯერ ამისთანა საქონელი. საქონელი ნემეცურია, 20 მანეთია მიცემული.

შეშინდა სიმონი და ეუბნება:

— სად უნდა გვენახა ჩვენ?

— საქმეც ეგაა. შეგიძლია ამ საქონელიდგან ჩემ ფეხზე ჩექმების შეკერვა?

— შეიძლება, თქვენო ხარისხოვნებავ.

აქ შეუყვირა სიმონს ბატონმა.

— შეიძლება. შენ იცოდე, ვის უკერავ და როგორ საქონელისაგან. ისეთი ჩექმები შემიკერე, რომ წელიწადი ვატარო, არც მოიქცეს და არც გაირღვეს. შეგიძლია—აიღე და დასჭერი საქონელიც, არ შეგიძლია, ნუ ჰკიდებ ხელს და ნურც საქონელს სჭრი. მე შენ წინ-და-წინვე გეუბნები, რომ თუ ან გაირღვა და ან მოიქცა წლამდის შენი ჩექმები, უსათუოთ საპატიმროში ჩაგსვამ და, თუ წლამდის არც გაირღვევა და არც მოიქცევა—მაშინ შესაკერავს ათ მანეთს გაჩუქებ.

შეშინდა სიმონი და არ იცის რა უთხრას. შემოხედა მიხაილს. ჰკრა მას ნიდაყვი და უჩურჩულა.

— ავიღოთ ვითომ?

დაუქნია თავი მიხეილმა: აიღე, უთხრა, სამუშევარი.

გაუგონა სიმონმა მიხეილს, აიღო იმისთანა ჩექმების შეკერვა, რომელიც წლამდის არც უნდა მოქცეოდა და არც გარღვეოდა პატრონს.

დაუძახა ბატონმა ბიჭს და უბრძანა მარცხენა ფეხიდგან ჩექმის გაძრობა. გამოუშვირა ფეხი.

— «აიღე ზომა».

გადააბა სიმონმა ქაღალდი ერთმანეთს ათ ვერშოკის სიგრძე, გაასწორა, დაიჩოქა, ხელები ფართუკზე გაიწმინდა კარგათ, რომ ბატონის წინდები არ გაესვარა და დაუწყო ზომა. გაზომა სიმონმა ფეხის გული, დაუწყო ზომა ახლა ქუსლს, მაგრამ ქაღალდი აღარ მოწვდა. ქუსლთან ფეხი როგორც ჯირკი ისე ქონდა. «გესმის, ყელში არ დაავიწროვო». დაუწყო სიმონმა ქაღალდს კიდევ გადაკერება. ზის ბატონი და ანძრევს თითებს წინდაში. ხალხი ქოხში შემოიცქირება. დაინახა მიხეილი.

— ეს ვინა გყავს შენ?

— ეს არის ჩემი მოხელე, ეს შეჰკერავს თქვენ ჩექმებს.

— გესმის, ეუბნება ბატონი მიხეილს, გახსოვდეს, ისე შეჰკერე, რომ წელიწადი ვატარო. გადახედა სიმონმაც მიხეილს, ხედავს რომ მიხეილი ბატონს არც კი უცქერის, მიიკუნჩხა ბატონს უკან კუთხეში, თითქოს ვისმეს განგებ ჩასცქერებიაო. უცქირა, უცქირა მიხეილმა და უცებ გაიღიმა და გაბრწყინდა მთლათ.

— შენ, მხეცო, რას იკრიჭები. უმჯობესია, შენ ყური დაუგდო და დროზე ჩექმები დაამზადო.

ეუბნება მიხეილი:

— უსათუოდ თავის დროზე იქნება მზად.

— რასაკვირველია, უნდა იქნეს.

ჩაიცვა ბატონმა ქურქი, ჩექმა, გამოეხვია კარგათ და წავიდა კარებისაკენ. Თავის ძირს დახრა დაავიწყდა და თავი ზევით აჰკრა.

Დააგინა ბატონმა სიმონი, გაიწმინდა შუბლი, ჩაბრძანდა კარეტაში და წავიდა თავისთვის.

მოშორდა ბატონი და სიმონი ამბობს:

— Აი ამათ რაც უნდა უყოთ, ვერ მოჰკლავთ. Თავი ფიცარზე მიიმტვრია და მაინც ბევრი არაფერი უჯავრნია.

მატრონა კი ამბობს.

— Იმათ რომ ცხოვრება აქვსთ, რათ არიან ამნაირი ძუნწი, რატომ სიკვდილი მათ არ მიაგნებსთ მალე.

## VII თავი.

სიმონი ეუბნება მიხაილს: აღებით ხომ ავიღეთ სამუშევარი, მაგრამ ვაი თუ რამე უბედურობა შეგვემთხვესო, საქონელი ძვირფასია და ბატონი კიფიცხი.

Არ შევსცდეთ როგორმე. Აბა ჰა, შენ თვალებიც კარგი გაქვს და ხელებშიდაც რაღაც სიმარდე გეტყობა, წაიღე ეს ზომა. Გამოსჭერი საქონელი და მე თავებს დავაკერებ.

Არ უთხრა მიხეილმა უარი, აიღო ბატონის საქონელი, გაშალა სტოლზედ, შეკეცა ორათ, აიღო დანა და დაუწყო გამოჭრა.

მოვიდა მატრონა და უცქერის მიხეილი როგორ სჭრის და უკვირს, თუ რას შვრება მიხეილიო. მატრონაც მიჩვეული იყო ხარაზის საქმეზე, უცქერის და ატყობს, რომ მიხეილი ხარაზულათ კი არ სჭრის საქონელს, რგვალ-რგვალათ ანაწილებს.

Უნდოდა ეთქვა მატრონას და ფიქრობს თავისთვის: «შეიძლება მე ვერ გავიგე, თუ როგორ უნდა შეუკერონ ბატონს ჩექმები, შეიძლება მიხეილმა უკეთესათ იცის, არ შეუშლი».

Გამოჭრა მიხეილმა ერთი რწყვილი, აიღო ბოლოები და დაუწყო კერვა, ისე კი არა, როგორ, ხარაზის რიგია, ორივე ბოლოებით, არა, მარტო ერთი მხრით, ისეროგორც მკვდრის ფეხსაცმელსა ჰკერავენ.

Ისეც ძლიერ გაუკვირდა მატრონას, მაგრამ არაფერი უთქვამს. მიხაილი კი მაინც კერავს. Იშუადღიულეს, ადგა სიმონიც, ხედავს რომ მიხაილს ბატონის საქონლიდგან მკვდრის ჩექმები შეუკერნია. Ამოიოხრა სიმონმა: «როგორ მოხდა ეს», ფიქრობს, სიმონი, მიხეილი წლიწადი სცხოვრებს ჩემთან და არ შეშლია არაფერი და ახლა ამნაირი უბედურება შემამთხვია. Ბატონმა მშვენიერი ჩექმები მოგვაბარა შესაკერავათ და ამან კი მკვდრის ჩექმები შეჰკერა, უბრალოდ, საქონელი მთლათ გააფუჭა... რა უნდა უყო ახლა ბატონს? Ამისთანა საქონელს ვერც ვიშოვნი აქ». Ეუბნება მიხეილს:

— რა ჰქენი ეს ჩემო კარგო? Დამკალი შენ და ეს არის. Ბატონმა ჩექმები მოგვაბარა და შენ რა შეგიკერავს?

Იმ დროს, როდესაც ამას ელაპარაკებოდა სიმონი მიხეილს, უეცრივ კარებში მოარაკუნა ვიღამაც. Გაიხედეს ფანჯარაში—ვიღაც ცხენით მოვიდა. Ცხენს გარეთ ანბამს. Გაუღეს: შემოდის იმ ბატონის ბიჭი.

— Გამარჯობა!

— Გაგიმარჯოს, რა გნებავსთ?

— Აი ქალბატონმა გამომგზავნა ჩექმებზედ.

— როგორ—ჩექმებზედ?

— Დიახ, ჩექმებზედ, რომელიც ბატონისთვის აღარ არის საჭირო. Იგი გარდაიცვალა...

— რას ამბობ?

— Თქვენგან შინამდის არ მიუღწევია, კარეტაშივე მოკვდა. მივიდა კარეტა ეზოსთან, გამოვარდნენ გამოსაყვანათ და ნახეს, რომ გაშეშებული ეგდო კარეტაში, ძლივას გამოვასვენეთ კარეტიდგან. Ქალბატონმა გამომგზავნა სათქმელათ თქვენთან რომ ბატონი იყოვო, ჩექმები რომ მოგაბარათ შესაკერავიო და საქონელიც მოიტანაო, უთხარი, რომ ჩექმები აღარ არის საჭირო და მკვდრის ჩექმები შეჰკერე იმ საქონლიდგანო. მოიცადე სანამ შეგიკერავდნენ და თან წამოიღეო». Და აი ამისთვის მოველ.

Აიღო მიხეილმა იმ საქონლის ნაჭერი და შეარგვალა, აიღო ის სამკვდრო მზა ჩექმებიც, მოარტყა ერთმანეთს, გასწმინდა ფართუკით და მისცა ბიჭს. Ბიჭმა წაიღო სამკვდრო ჩექმები.

— მშვიდობით აღებო!

თეოფილე ხუსკივაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქციისაგან.

დუჩხუმში. გ—ატ. ი. ნი. თქვენ წერილებში ნამეტანი მკვახე სიტყვებია ნახმარი და ამიტომ არ იბეჭდება.

— ქ. გ—ნს. უკანასკნელი სამღვდელოების შეკრებილების გარდაწყვეტილების შემდეგ აღარ ღირს წერა სემინარიის დაარსების თაობაზე.

— მასვე. თქვენი წერილი გლეხების განთავისუფლების შესახებ სარგებლობას არ მოუტანს საქმეს და ტყუვილა ადგილს დაიჭერს. ქვეყანამ შეიტყო, რომ ზოგიერთი მომრიგებელი შუამავალნი თავიანთ მოვალეობას რიგიანად არ ჰკიდებენ ხელს. მათ რომ მალე საქმეები გაათავონ, მათთვისვე საზარალო იქნება!...

ს. ქდ—ს. მ. ა. ა. დარჩენილნი ფულები მოითხოვეს შემწირველებზე დასარიგებლად; ამიტომ თქვენი წერილი აღარ იბეჭდება. კორესპონდენციისაგან არ სჩანს, რომ მისი ავტორი «ჯილოსანი» და «წითლოსანი» იყოს...

ქ. ახალციხეს. გ. ა—ნს. თქვენი წერილი არ იბეჭდება, რადგან ნამდვილად შევიტყვეთ, რომ 150 მ. ფულს ის დანიშნულება არ ჰქონია, რასაც თქვენ ფიქრობდით. ფულები დღესაც დაუხარჯავი ყოფილა, რადგან საჭიროება არ არის.

## ნარევი

გერმანიაში სასოფლო სკოლებს ყოველ წლობით დახედავს ხოლმე სკოლების ინსპექტორი და ამ დახედვის დროს კიდეც გამოცდის ხოლმე ბავშებს. ერთი სოფლის სკოლაში ყმაწვილებმა დაიკავეს ეგზამენი კარგად. როცა მასწავლებელი აძლევდა ყმაწვილებს კითხვებს, ყველანი ხელს აშვერდენ იმის ნიშნად, რომ მათ იციან, რასაც მასწავლებელი მათ ჰკითხავს. მასწავლებელი კითხავდა შაგირდებს და ისინიც მშვენიერად უგებდნენ. ინსპექტორი მეტად კმაყოფილი დარჩა და მასწავლებელს და მოსწავლეებს მადლობა უთხრა. როცა სწავლა გათავდა, ერთი პატარა იოხაინი გამოუყვა თავის მამას, რომელიც გამოცდაზე დაესწრო. «შენ ყველა კითხვები იცოდი და მასწავლებელმა კი არ გკითხა!»—უთხრა მამამ თავის შვილს. «არა, მე არაფერი არ ვიცოდი,» მიუგო მამას ყმაწვილმა. —«მაშ ყოველ კითხვაზე რაზე იშვერდი ხელს?»—«მე ვიშვერდი მარცხენა ხელს, რომელიც ნიშნავს, რომ არ ვიცი;» ვინც იშვერდა მარჯვენა ხელს, იმან, ალბათ, იცოდა. ეს მე ისე ვქენი, როგორც მასწავლეს.

—

ახლანდელი გამოკვლევისაგან სჩანს, რომ ქრისტიანეთა რიცხვი ადის 398 მილიონამდის; ამათში 211 მილიონი კათოლიკებია, პროტესტანტები—106 მილიონი, მართლ-მადიდებელნი არიან 81 მილიონი, მაჰმადის სარწმუნოებისა—201 მილიონი, ბუდდის აღმსარებელნი 340 მილიონი, ბრამინის სწავლის აღმსარებელნი—175 მილიონი, კონფუცის სარწმუნოებისა—84 მილიონი და ებრაელები—7 მილიონი. ევროპაში მცხოვრებ ხალხში—147 მილიონი კათოლიკებია, 72 მილიონი პროტესტანტები და 68 მილიონი მართლ-მადიდებელნი.

## განცხადებანი.

ისყიდება
ახალი სახელმძღვანელო წიგნი
**ქართული ქრისტომატია**
უმცროს კლასებისათვის.
შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.
ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეგზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება.

(10—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართული სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა.

შედგენილი მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილისაგან. ისყიდება თბილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში და ორპირში—წიგნის შემდგენელის ბინაზე.

(10—1)

# მიიღება ხელის მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

# „მწყემსზედ“

## და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

რუსული დამატება „მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი“-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**
ნახევარი წლის —**სამი მანეთი.**

„მწყემსი“-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**
ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**
ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**
ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“.** ყვირილაში, „**მწყემსი**“-ს რედაქციაში.

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

# „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, «თეატრი» თვალს ადევნებს კიდევ ჩვენ ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით «თეატრ»-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველისათვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამმა «თეატრისა» შემდეგია:

ა. მოწინავე წერილები.
ბ. პიესებისა და წარმოდგენების რეცენზიები.
გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
დ. კორესპონდენციები და ყოველგვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდამ.
ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილებ ი მათის სურათებით.
ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვა.
ზ. ფელეტონი: თეატრის შესახებ, სცენები, დრამატიული თხზულებანი, ლექსები, სამღერალი კუპლეტები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სხვა.
ჱ. ანეგდოტები, გამოცანები, რებუსები, შარჟები და სხვა.
თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს»-ცა აღუთქვეს თავიანთი მოღვაწეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრი»-სა: წლით როგორც ქალაქის აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი. ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი, ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის მოწერისათანავე 3 მანეთი, მაისში 1 მან. და მარიამობის თვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. редакція «ТЕАТРЪ».

რედაქტორი—გამომცემი ვ. აბაშიძე.

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: მართებლობის განკარგულებანი.—არა ოფიც. ნაწილი: მღვდლის პატივის დაცვის შესახებ.—წერილი რედაქტორთან.—ლეჩხუმიდამ.—სენაკის მაზრიდამ.—აფხაზეთიდამ.—შორაპნის მაზრიდამ.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—ლექსი.—მატიანე.—რით ცხოვრებს ხალხი.—რედაქციის პასუხი.—ნარევი.—განცხადებანი.

*Доз. цензурою Кутаисъ, Августа 14, 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.